

სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი

სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
 სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი: წლიური __%
 სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური __%

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

სადეპოზიტო სერტიფიკატის მოცულობა: __ (შესაბამისი ვალუტა)
 სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა: __ დღე
 სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: 0.1% მინიმუმ 50 GEL

პირგასამტეხლო სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე ბანკისთვის დაბრუნებისათვის:

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გადაწყვეტს, კლიენტის სურვილის საფუძველზე ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, კლიენტი ვალდებული იქნება სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილ ვადაზე გადაუხადოს ბანკს საკომისიო, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის დღეს (მომენტში), სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის ანალოგიური ვადიანობის ბანკში მოქმედი მიმდინარე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებელს დამატებული 3%. ხოლო, თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის ანალოგიური ვადიანობის სერტიფიკატი (პროდუქტი) ბანკს არ გააჩნია, სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის შემდგომი ვადიანობის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 3%.

სერტიფიკატის მფლობელს აქვს სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვის უფლება.

ლარის ვალუტაში გახსნილი სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში:

აღნიშნული სადეპოზიტო სერტიფიკატი არის სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მისი პირობები შეესაბამება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნებს.

უცხოურ ვალუტაში გახსნილი სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში:

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!

აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.

ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge.

ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური __%.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ:

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - +995 322 406406.

ხელშეკრულება სადეპოზიტო სერტიფიკატის შესახებ

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით კლიენტს მფლობელობაში გადასცემს სადეპოზიტო სერტიფიკატს.

1.2 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ 15 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდს: www.diagency.ge.

2. სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობები

2.1 ბანკი არ არის ვალდებული ვადაზე ადრე მოახდინოს სერტიფიკატის გამოსყიდვა კლიენტისგან;	
2.2 სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს მისთვის სასურველ ნებისმიერ პირზე გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი;	
2.3 სერტიფიკატის ტიპი:	საპროცენტო
2.4 სერტიფიკატის ნომინალი:	
2.5 სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება:	___ (შესაბამისი ვალუტა)
2.6 სერტიფიკატის ვადიანობა:	___ დღე
2.7 სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი:	წლიური ___%
2.8 სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური ___%
2.8.1 სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
2.9 საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა:	ყოველთვიურად
2.10 სერტიფიკატის შეძენისას თანხა გადაირიცხება ანგარიშიდან;	
2.11 სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ თანხა ჩაირიცხება ანგარიშზე;	
2.12 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი:	
2.13 საკომისიო სერტიფიკატის გასხვისების შემთხვევაში:	0.1% მინიმუმ 50 GEL

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 ბანკი ვალდებულია:

3.1.1 სერტიფიკატის შეძენის მსურველს გააცნოს ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი პირობები. პირობების გაცნობა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული საშუალებებითაც;

3.1.2 კლიენტის მიერ სერტიფიკატის შეძენის შემდგომ განახორციელოს ჩანაწერი შესაბამის რეესტრში;

3.1.3 კლიენტის მიერ სერტიფიკატის შეძენის შემთხვევაში, კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს/მიაწოდოს კლიენტს ამონაწერი (ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ელექტრონულითაც) შესაბამისი რეესტრიდან;

3.1.4 ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გარიგების ელექტრონული სისტემის მეშვეობით დადების შემთხვევაში ბანკი კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს კლიენტისთვის სერტიფიკატის პირობების წინასწარ ელექტრონული ფორმით შეტყობინება;

3.1.5 მხარეთა შორის ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას უზრუნველყოს სისტემის დაცულობა და უსაფრთხოება;

3.1.6 კლიენტის მიერ სერტიფიკატის გასხვისების შემთხვევაში, კლიენტის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს სერტიფიკატის გასხვისების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში;

3.2 ბანკი უფლებამოსილია:

3.2.1 არ განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, თუ კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პირობებს;

3.3 სერტიფიკატის მფლობელი ვალდებულია:

3.3.1 ბანკში იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიში სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისთვის;

3.3.2 სერტიფიკატის გასხვისებამდე მიაწოდოს ბანკს შესაბამისი ინფორმაცია და მოითხოვოს სერტიფიკატის გასხვისების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში;

3.3.3 სერტიფიკატის გასხვისებამდე უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად მყიდველის წარმოდგენა ბანკში.

3.4 კლიენტი უფლებამოსილია:

3.4.1 ბანკის თანხმობის გარეშე გაასხვისოს სერტიფიკატი ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნულის განხორციელებისას კლიენტი იხდის ბანკის სასრგებლოდ ამ ხელშეკრულების 2.13 პუნქტში მითითებულ საკომისიოს.

4. სადეპოზიტო სერტიფიკატზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პირობები

4.1 სადეპოზიტო სერტიფიკატს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.7 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამ ხელშეკრულების 8.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

4.2 სადეპოზიტო სერტიფიკატის შემენისას, სერტიფიკატის ყიდვის ღირებულების შესაბამისი თანხა გადაირიცხება კლიენტის 2.10 პუნქტში მითითებული ანგარიშიდან.

4.3 სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების შესაბამისი თანხა ჩაირიცხება კლიენტის 2.11 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე.

5. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე ბანკისთვის დაბრუნება

5.1 იმ შემთხვევაში, თუ ბანკი გადაწყვეტს კლიენტის სურვილის საფუძველზე ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, კლიენტი ვალდებული იქნება სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილ ვადაზე გადაუხადოს ბანკს საკომისიო, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის დღეს (მომენტში), სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის ანალოგიური ვადიანობის ბანკში მოქმედი მიმდინარე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო სარგებელს დამატებული 3%. ხოლო, თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის ანალოგიური ვადიანობის სერტიფიკატი (პროდუქტი) ბანკს არ გააჩნია, სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ვადის შემდგომი ვადიანობის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთს დამატებული 3%.

5.2 სადეპოზიტო სერტიფიკატის ბანკის მიერ ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში, კლიენტზე გასაცემი თანხის ოდენობამ შესაძლებელია შეადგინოს ყიდვის ღირებულებაზე ნაკლები ან მეტი თანხა. აღნიშნული დამოკიდებულია სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადასა და გამოსყიდვის თარიღზე.

6. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება მესამე პირზე

6.1 სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელს უფლება აქვს მისთვის სასურველ ნებისმიერ პირზე გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომლის შესახებაც აუცილებლად უნდა აცნობოს ბანკს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია რეესტრში და შესაბამისი გადარიცხვის დავალებების შესრულება. გასხვისებისათვის სავალდებულოა კლიენტის და მყიდველის გამოცხადება ბანკში, რათა წარმოადგინონ ერთობლივი დავალება სერტიფიკატის გასხვისების და შემენის შესახებ. დავალების ფორმა განისაზღვრება ბანკის მიერ, სანამ სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელად შესაბამის რეესტრში დაფიქსირდება ახალი მყიდველი.

6.2 შესაძლებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის სრული და ნაწილობრივი გასხვისება (ნაწილობრივი გასხვისება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სერტიფიკატის ნომინალის რაოდენობა აღემატება ერთს).

6.3 დაუშვებელია 1 (ერთი) სერტიფიკატის ნომინალის ნაწილობრივ გასხვისება მესამე პირზე.

7. სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითადი პირობები

- 7.1 სერტიფიკატი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ დემატერიალიზებული ფორმით.
- 7.2 სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო წესით.
- 7.3 ყოველ ერთეულ სადეპოზიტო სერტიფიკატს ჰყავს მხოლოდ 1 (ერთი) მფლობელი.
- 7.4 სადეპოზიტო სერტიფიკატი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება.
- 7.5 სადეპოზიტო სერტიფიკატის შექმნის შემდგომ შექმნისას მოქმედი პირობები რჩება უცვლელი ვადის ბოლომდე.
- 7.6 სერტიფიკატის მფლობელობის დამადასტურებელი არის ბანკის შესაბამის რეესტრში არსებული ელექტრონული ჩანაწერი.
- 7.7 კლიენტის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატის შექმნა ან გასხვისება რეესტრირდება შესაბამის რეესტრში, რომლის ფუნქციონირების წესი და პირობები დადგენილია ბანკის მიერ.
- 7.8 სადეპოზიტო სერტიფიკატების რეესტრში ჩანაწერი უქმდება: სერტიფიკატის ვადის გასვლის ან ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვის შემთხვევაში.
- 7.9 სერტიფიკატში მითითებული ვადის გასვლის ან ბანკის მიერ კლიენტთან შეთანხმებული ფასით სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის შემდგომ განხორციელდება სერტიფიკატის დაფარვა, რის შედეგადაც ხდება სერტიფიკატის შესაბამის რეესტრში არსებული ჩანაწერის გაუქმება და წყდება სადეპოზიტო სერტიფიკატზე სარგებლის დარიცხვა. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის შემთხვევაში ბანკი ნასყიდობის საფასურს კლიენტს აუნაზღაურებს არაუგვიანეს გამოსყიდვიდან 2 (ორი) საბანკო დღისა, ამასთან, ბანკი ვალდებული არ არის სადეპოზიტო სერტიფიკატი გამოსყიდოს ვადაზე ადრე.
- 7.10 სერტიფიკატის შექმნის თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შესაბამისი წერილობითი შეთანხმება.
- 7.11 კლიენტს შეუძლია ინტერნეტბანკში იხილოს მისი შექმნილი სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება და დარიცხული სარგებელი. აღნიშნული თანხის განკარგვის უფლებამოსილება კლიენტს არ აქვს, სანამ სერტიფიკატს არ გაუვა ვადა, ან არ იქნება გამოსყიდული ბანკის მიერ.

8. ხელშეკრულების პირობები

- 8.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაბრის განაცხადს საანაბრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მეანაბრე ადასტურებს, რომ:
 - 8.1.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (მასში ასახული ყველა ცვლილებისა და დამატების) განუყოფელ ნაწილს, რომელსაც იცნობს და ეთანხმება;
 - 8.1.2 ამ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საექვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;
 - 8.1.3 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე/საბარათე) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), სადეპოზიტო სერტიფიკატის ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის ჩარიცხვის და/ან სადეპოზიტო სერტიფიკატის ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გადარიცხვის მიზნით;
 - 8.1.4 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ;

ხელშეკრულების 8.1.5 და 8.1.6 პუნქტი გათვალისწინებულია უცხოური ვალუტის სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში:

8.1.5 იმ შემთხვევაში, თუ: ა) სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო მაღალი, ვიდრე სადეპოზიტო სერტიფიკატებისთვის საქართველოს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; ბ) ადგილი ექნება იმგვარ პროცესებს (მათ შორის ინფლაცია, ეკონომიკური ვარდნა და სხვ.), რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ ბაზარზე სადეპოზიტო სერტიფიკატისთვის დაწესებული საპროცენტო სარგებლის (განაკვეთების) ცვლილება და ამგვარი ცვლილებების შედეგად სადეპოზიტო სერტიფიკატის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი/განაკვეთები შეიცვლება (შემცირდება) 5%-ზე მეტი ოდენობით, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარე სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი. ამგვარი ცვლილების შესახებ, ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

8.1.6 იმ შემთხვევაში, თუ: ა) სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობები არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;.

8.2 ფორსმაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს ამგვარი გარემოებების წარმოშობის შესახებ პირველივე შესაძლებლობისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული გარემოებების გამო შეუძლებელია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადებში შესრულება, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიწვეს ამგვარი გარემოებების აღმოფხვრამდე.

8.3 კლიენტი თანახმაა, რომ მასზე ინკასოს და/ან ყადაღის გავრცელების შემთხვევაში ბანკმა უპირობოდ შეასრულოს შესაბამისი ორგანოს მოთხოვნა სადეპოზიტო სერტიფიკატთან მიმართებაში. ასევე კლიენტზე ინკასოს/ყადაღის გავრცელების შემთხვევაში, კლიენტს არ აქვს უფლება გაასხვისოს ან რაიმე ფორმით უფლებრივად დატვირთოს სადეპოზიტო სერტიფიკატი, სანამ ბანკს არ წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას გასხვისებაზე/უფლებრივად დატვირთვაზე, ვისი მოთხოვნის საფუძველზეც იქნა დადებული ინკასო/ყადაღა.

8.4 ბანკს უფლება აქვს, კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

8.5 კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „თიბისი ბანკის“ სატელეფონო სერვისცენტრს +995 322 272727. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე. პრეტენზიებს განხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

ხელშეკრულების 8.6 პუნქტი გათვალისწინებულია უცხოური ვალუტის სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში:

8.6 ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური __ %.

8.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.